

პროლეტარიატის უფრო მეტი ერთობა, მეტი ძალა



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 8 (403)

1974 წლის აგვისტო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამომცემა

თბილისი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
ენყებები



№ 8 (403)

პევიტომ

1974 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბანყოფილება პირველი

143. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ვ. ა. სობოლევის საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად დანიშვნის შესახებ.
144. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ხაშურის რაიონის სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ.
145. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ წყლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ.
146. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
147. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „მოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის ნორმების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების მე-2 მუხლის შეცვლის თაობაზე.
148. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნათესების, აგრეთვე ხილ-კენკროვანი ან სხვა ნარგავების განზრახ დაზიანებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.
149. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თევზისა და სხვა მოპოვებითი რეწვის უკანონო წარმოებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.
150. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლში დამატებების შეტანის შესახებ.
151. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის მესამე ნაწილში ცვლილების შეტანის შესახებ.

152. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მშრომელთა დებუ-
 ტატების ადგილობრივი საბჭოების სესიებზე შეიქმნის წესით დაყენებული საკითხების
 განხილვის პრაქტიკის შესახებ.
153. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გორის რაიონის
 ხიდისთავის სასოფლო საბჭოდან სოფლების: ბნავისის, წედისის, ღვარების, ოლოზის და
 ზემო ქსოვრისის გამოყოფისა და ატენის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.

ბანყოფილება მეორე

154. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს ზე-
 ლოენების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
155. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ს. ლ. ბალაშვი-
 ლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოე-
 ბის შესახებ.
156. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ნ. შ. მისუ-
 რაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-
 დობის შესახებ.
157. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ფ. ა. ანანი-
 შვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-
 დობის შესახებ.
158. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. კ. ს. ვირსალა-
 ძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდო-
 ების შესახებ.
159. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ვ. ს. ონიანის
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების
 შესახებ.
160. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ვლადიმერ
 (ლადო) შალვას ძე ავალიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპა-
 ტიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
161. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პოეტ ს. გ. ავჩიანის
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების
 შესახებ.
162. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მხატვარ ვ. კ. ბელე-
 ცკაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-
 დობის შესახებ.
163. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. გ. ლ. თავაძა-
 შვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-
 დობის შესახებ.
164. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ტ. დ. კვეციე-
 კირის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-
 დობის შესახებ.

165. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ დ. ა. ფანჯულიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
166. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ს. სემიონოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
167. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ა. თითბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ბანყოფილება მისამ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საინფორმაციო ცნობა.

ბანუოვილება კირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

143 ამხ. ვ. ა. სოხოლევის საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
დაინიშნოს ამხ. ვლადიმერ ალექსანდრეს ძე **სოხოლევი** საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე**,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭავაძე**,

თბილისი, 1974 წლის 2 აგვისტო

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

144 ხაშურის რაიონის სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ

განიხილა რა წარმოდგენილი მასალები ხაშურის რაიონის სახალხო მოსამართლის **შ. პ. გაგნიძის** გაწვევის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს კენჭისყრა ხაშურის რაიონის სახალხო მოსამართლის შოთა პლატონის ძე **გაგნიძის** გაწვევის შესახებ 1974 წლის 15 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე**,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭავაძე**,

თბილისი, 1974 წლის 9 აგვისტო

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

145 საქართველოს სსრ წყლის კოდექსის სამოქმედოდ შეამოღების წესის შესახებ

„საქართველოს სსრ წყლის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ 1974 წლის 5 ივნისის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს სსრ წყლის კოდექსის შესაბამისად საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანამდე გამოიყენება საქართველოს სსრ წყლის კანონმდებლობის ის აქტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან აღნიშნულ კოდექსს.

2. საქართველოს სსრ წყლის კოდექსი გამოიყენება იმ საწყლო სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშობა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, ე. ი. 1974 წლის 1 ოქტომბრიდან.

საწყლო სამართლებრივ ურთიერთობაში, რომელიც წარმოიშვა საქართველოს სსრ წყლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე, ამ სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეების უფლებათა და მოვალეობათა განხორციელება 1974 წლის 1 ოქტომბრიდან რეგულირდება კოდექსის შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ წყლის კოდექსით გათვალისწინებული წესი, რომელიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლებით, გამოიყენება საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების დღიდან, ე. ი. 1971 წლის პირველი სექტემბრიდან, „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 12 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად.

4. მუდამგაძლობა განკერძოებულ სარგებლობაში წყლის იმ ობიექტების გადაცემის თაობაზე (მთლიანად ან ნაწილობრივ), რომლებზედაც კომპეტენტურ ორგანოებს არ მიუღიათ გადაწყვეტილებანი წყლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების მომენტისათვის, უნდა გადაწყვიტონ კოდექსის 28-ე მუხლში მოხსენებულმა ორგანოებმა კოდექსით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილება განკერძოებულ სარგებლობისათვის წყლის ობიექტების გადაცემის შესახებ, რომელიც მიღებულია მათი კომპეტენციის ფარგლებში 1974 წლის 1 ოქტომბრამდე, მაგრამ წყლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების მომენტისათვის არ არის შესრულებული, უნდა შესრულდეს საქართველოს სსრ წყლის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

5. იმ შემთხვევაში, თუ წყლის ობიექტები სარგებლობისათვის გამოყოფილი იყო 1974 წლის 1 ოქტომბრამდე იმ ორგანოების მიერ, რომელთა კომპეტენცია წყლის ობიექტების გამოყოფის შესახებ საქართველოს სსრ წყლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით შეიცვალა, წყლის ობიექტებით სარგებლობის უფლების შეწყვეტა აღნიშნული ვადის შემდეგ უნდა მოხდეს კოდექსის 43-ე და 44-ე მუხლების თანახმად იმ ორგანოების მიერ, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად სარგებლობენ ამ ობიექტების გამოყოფისა და ჩამორთმევის უფლებით.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ წყლის კოდექსთან შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბამი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრეზიდენტის

146 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 21 თებერვლის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

I. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 491-ე, 492-ე, 501-ე, 506-ე, 508—510-ე, 515-ე, 516-ე, 521-ე, 526-ე და 528-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 491. საავტორო უფლება სსრ კავშირში გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე

აღიარებულია საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც პირველად სსრ კავშირის ტერიტორიაზე გამოქვეყნდა ანდა არ გამოქვეყნებულა, მაგრამ სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოიპოვება რაიმე ობიექტური ფორმით, ავტორისა და მისი მემკვიდრეებისათვის მათი მოქალაქეობის მიუხედავად, აგრეთვე ავტორის სხვა უფლებამონაცვლებებისათვის.

მუხლი 492. საავტორო უფლება საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე

აღიარებულია საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების იმ მოქალაქეთა საავტორო უფლება, რომელთა ნაწარმოები პირველად უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოქვეყნდა ან იქ რაიმე ობიექტური ფორმით მოიპოვება. ეს უფლება აღიარებულია აგრეთვე ამ მოქალაქეთა უფლებამონაცვლეთათვის.

სხვა პირთა საავტორო უფლების აღიარება ნაწარმოებზე, რომელიც პირველად უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოქვეყნდა ან იქ რაიმე ობიექტური ფორმით მოიპოვება, ხდება იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების, ან საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, რომლებშიც მონაწილეობს სსრ კავშირი. იმ შემთხვევაში, როდესაც საავტორო უფლების დაცვა ხდება საერთაშორისო ხელშეკრულებების ან საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნაწარმოების გამოქვეყნების ფაქტი განისაზღვრება შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების ან საერთაშორისო შეთანხმებების დებულებათა თანახმად.

საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქე-ავტორთა უცხოელი უფლებამონაცვლების მიმართ საავტორო უფლება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აღიარებული იქნება იმ შემთხვევებში, თუ ეს უფლება მათ გადაეცათ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

„მუხლი 501. ნაწარმოების თარგმნა სხვა ენაზე

ვა მოქვეყნების მიზნით ნაწარმოების სხვა ენაზე თარგმნა დასაშვებია მხოლოდ ავტორის ან მისი უფლებამონაცვლელების თანხმობით.

სსრ კავშირის კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით ნება დართონ ნაწარმოების სხვა ენაზე თარგმნისა და ამ თარგმანის გამოქვეყნებისა, მაგრამ შესაბამის შემთხვევებში იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების ან საერთაშორისო შეთანხმებების პირობათა დაცვით, რომლებშიც მონაწილეობს სსრ კავშირი.

სხვა ენაზე თარგმნილი ნაწარმოების გამოყენებისათვის გასამრჩელოს მიღების უფლება ეკუთვნის ორიგინალის ავტორს ყველა შემთხვევაში, გარდა კანონში მითითებულისა“.

„მუხლი 506. ნაწარმოების გამოყენება ავტორის თანხმობის გარეშე და საავტორო გასამრჩელოს გადაუხდელად

ავტორის თანხმობის გარეშე და საავტორო გასამრჩელოს გადაუხდელად, ოღონდ გამოყენებული ნაწარმოების ავტორის გვარის და თვით წყაროს აუცილებელი მითითებით, დასაშვებია:

1) გამოქვეყნებული სხვისი ნაწარმოების გამოყენება ახალი, შემოქმედებითად დამოუკიდებელი ნაწარმოების შესაქმნელად, გარდა თხრობითი ნაწარმოების გადამუშავებისა დრამატულ ნაწარმოებად ან სცენარად და პირიქით, აგრეთვე დრამატული ნაწარმოების გადამუშავებისა სცენარად და პირიქით;

2) რეპროდუცირება მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ცალკეული გამოცემული ნაწარმოებებისა და მათი ნაწყვეტებისა მეცნიერულ და კრიტიკულ ნაშრომებში, სასწავლო და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო გამოცემებში; ამასთან, რეპროდუცირება ციტატების სახით დასაშვებია იმ ფარგლებში, რასაც ითვალისწინებს გამოცემის მიზანი, ხოლო რეპროდუცირება სხვა სახით, მათ შორის კრებულებში, არ უნდა აღემატებოდეს ერთი ავტორის ნაწარმოებების ერთი საავტორო თაბახის საერთო ოდენობას;

3) პერიოდული პრესის, კინოს, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით ინფორმაციის მიწოდება, მათ შორის რეფერატების, ანოტაციების, მიმოხილვების და სხვა საინფორმაციო-დოკუმენტური ფორმით, ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა შესახებ;

4) საჯაროდ წარმოთქმული სიტყვების, მოხსენებების, აგრეთვე ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა რეპროდუცირება კინოში, რადიოთი და ტელევიზიით, რეპროდუცირებად ითვლება აგრეთვე საჯაროდ შესრულებულ ნაწარმოებთა რადიოთი და ტელევიზიით ტრანსლაცია უშუალოდ მათი შესრულების ადგილიდან;

5) საჯაროდ წარმოთქმული სიტყვების, მოხსენებების, აგრეთვე ლიტერატურის, მეცნიერების და ხელოვნების ნაწარმოებთა გამოქვეყნებული ორიგინალის თუ მათი თარგმანის რეპროდუცირება გაზეთებში;

6) სახვითი ხელოვნების ნაწარმოების რომელიმე წესით რეპროდუცირება, გარდა მექანიკურ-კონტაქტური ხერხით პირის გადაღებისა, თუ ეს ნაწარმოები

ისეთ ადგილასა, სადაც შესვლა თავისუფალია, გამოფენებისა და მუზეუმების გამოკლებით;

7) ბეჭდვითი ნაწარმოებების რეპროდუცირება საგანმანათლებლო, სასწავლო და სამეცნიერო მიზნით, მოგების მიუღებლად;

8) სხვისი ნაწარმოების გამოყენება ან რეპროდუცირება პირად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით“.

„მუხლი 508. საავტორო უფლების მოქმედების ვადა

საავტორო უფლება მოქმედებს ავტორის მთელს სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ 25 წლის განმავლობაში. ეს დრო გამოითვლება გარდაცვალების მომდევნო წლის პირველი იანვრიდან.

ავტორის სიკვდილის შემდეგ მისი სახელის და ნაწარმოების ხელშეუხებლობის დაცვა ხორციელდება ამ კოდექსის 503-ე და 505-ე მუხლების დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 509. საავტორო უფლების მემკვიდრეობით გადასვლა

საავტორო უფლება გადადის მემკვიდრეობით. მემკვიდრეობით არ გადადის ავტორის უფლება სახელზე და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება.

ავტორის სიკვდილის შემდეგ საავტორო უფლება ნაწარმოებზე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში გადადის მემკვიდრეობით და მოქმედებს 25 წლის განმავლობაში, ავტორის გარდაცვალების მომდევნო წლის პირველი იანვრიდან დაწყებული.

საავტორო უფლება ფოტოგრაფიულ ნაწარმოებზე და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებზე მოქმედებს 20 წლის განმავლობაში დღიდან ან ნაწარმოების რეპროდუქციის წესით გამოქვეყნებისა.

საავტორო უფლება ფოტოგრაფიულ ნაწარმოებზე და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებზე გადადის მემკვიდრეობით იმ ვადის განმავლობაში, რაც დარჩა ავტორის გარდაცვალების დღისათვის.

მუხლი 510. საავტორო უფლების მოქმედების ვადა კოლექტიურ ნაწარმოებზე

საავტორო უფლება კოლექტიურ ნაწარმოებზე მოქმედებს თითოეული ავტორის მთელი სიცოცხლის განმავლობაში და გადადის მემკვიდრეობით.

თითოეული თანაავტორის მემკვიდრეები სარგებლობენ საავტორო უფლებით 25 წლის განმავლობაში, ავტორის გარდაცვალების მომდევნო წლის პირველი იანვრიდან დაწყებული“.

„მუხლი 515. საავტორო ხელშეკრულება და მისი ტიპები

ავტორს ან მის უფლებამონაცვლეს უფლება აქვთ ნაწარმოების გამოყენების მიზნით დადოს სათანადო ორგანიზაციასთან საავტორო ხელშეკრულება.

საავტორო ხელშეკრულებები შეიძლება იყოს ორი ტიპისა:

საავტორო ხელშეკრულება გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ;

საავტორო სალიცენზიო ხელშეკრულება.

გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულებით ავტორი ან მისი უფლებამონაცვლე გადასცემს ან კისრულობს შექმნას და ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადასცეს ორგანიზაციას თავისი ნაწარმოები ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით გამოსაყენებლად, ხოლო ორგანიზაცია კისრულობს გამოიყენოს ეს ნაწარმოები, ან ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში შეუდგეს მის გამოყენებას (ამ კოდექსის 522-ე მუხ.) აგრეთვე ავტორს ან მის უფლებამონაცვლეს მისცეს გასამრჯელო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საავტორო სალიცენზიო ხელშეკრულებით ავტორი ან მისი უფლებამონაცვლე უფლებას აძლევს ორგანიზაციას გამოიყენოს მისი ნაწარმოები (მათ შორის თარგმნოს სხვა ენაზე ან გადააკეთოს იგი) იმ ფარგლებში და იმ ვადით, რაც დათქმულია ხელშეკრულებით, ხოლო ორგანიზაცია კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს მას გასამრჯელო ამ უფლებისათვის, ან ნაწარმოების გამოყენებისათვის ხელშეკრულებით დადგენილი ფორმით, თუ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით სხვა რაიმე არ არის გათვალისწინებული ან თუ მხარეები სხვა რაიმეზე არ შეთანხმებულან.

მუხლი 516. გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულებათა სახეობები

გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულებებს მიეკუთვნება:

1) ხელშეკრულება ორიგინალის სახით ნაწარმოების გამოცემის ან ხელახლა გამოცემის შესახებ (საგამომცემლო ხელშეკრულება);

2) ხელშეკრულება გამოუქვეყნებელი ნაწარმოების საჯაროდ შესრულების შესახებ (დადგმის ხელშეკრულება), რომელიც, იმ შემთხვევაში, თუ ითვალისწინებს ერთდროული გასამრჯელოს გაცემას, ავტორს შეუძლია დადოს მხოლოდ ერთ ორგანიზაციასთან;

3) ხელშეკრულება გამოუქვეყნებელი ნაწარმოების კინოფილმში ან სატელევიზიო ფილმში (სასცენარო ხელშეკრულება), რადიო თუ სატელევიზიო გადაცემებში გამოყენების შესახებ;

4) ხელშეკრულება საჯაროდ გამოყენების მიზნით სახვითი ხელოვნების ნაწარმოების შექმნის შესახებ (მხატვრული შეკვეთის ხელშეკრულება);

5) ხელშეკრულება დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების გამოუქვეყნებელი ნაწარმოების მრეწველობაში გამოყენების შესახებ;

აგრეთვე სხვა ხელშეკრულებები ლიტერატურის, მეცნიერების ან ხელოვნების ნაწარმოებთა სხვა რომელიმე წესით გამოსაყენებლად გადაცემის შესახებ.

„მუხლი 521. მესამე პირის მიერ იმ ნაწარმოების გამოყენების შეზღუდვა, რომელზედაც დადებულია ხელშეკრულება“

გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულებით ავტორს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებაში აღნიშნული ნაწარმოები ან მისი ნაწილი იმავე სახით გამოსაყენებლად, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, გარდა ტიპობრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ასეთი შეზღუდვის ვადა წესდება ტიპობრივი ხელშეკრულებით, მაგრამ არ შეიძლება აღემატებოდეს სამ წელს იმ დღიდან, როცა ორგანიზაციამ ნაწარმოები მოიწონა. ტიპობრივი ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს შემთხვევას, როცა ავტორს უფლება არა აქვს გადასცეს თავისი ნაწარმოები გამოსაყენებლად სხვა სახით, ვიდრე ეს ხელშეკრულებით არის დათქმული“.

„მუხლი 526. საავტორო სალიცენზიო ხელშეკრულება სხვა ენაზე გადათარგმნის ან გადაკეთების გზით ნაწარმოების გამოყენების უფლების გადაცემის შესახებ“

სხვა ენაზე გადათარგმნის ან გადაკეთების გზით (კერძოდ, თხრობითი ნაწარმოებისა დრამატულ ნაწარმოებად ან სცენარად, ანდა პირიქით) ნაწარმოების გამოყენების უფლების გადაცემის შესახებ საავტორო სალიცენზიო ხელშეკრულების პირობებს განსაზღვრავენ მხარეები ხელშეკრულების დადებისას, თუ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“.

„მუხლი 528. ორგანიზაციის პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის“

თუ გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში (ამ კოდექსის 522-ე მუხ.) ორგანიზაცია არ გამოიყენებს მოწონებულ ნაწარმოებს, ან არ შეუდგება მის გამოყენებას, იგი მოვალეა ავტორის მოთხოვნით მთლიანად გადაუხადოს მას დათქმული გასამრჯელო. ამ შემთხვევაში ავტორს უფლება აქვს აგრეთვე უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ხელშეკრულებით ჩაბარებული ნაწარმოების ცალკების დაბრუნება. ორგანიზაცია თავისუფლდება მოვალეობისაგან გადაუხადოს ავტორს გასამრჯელოს ის ნაწილი, რომელიც მას უნდა მიეღო ნაწარმოების გამოყენების დაწყების შემდეგ, თუ დაამტკიცებს, რომ არ შეეძლო გამოყენებინა ნაწარმოები თვით ავტორისაგან დამოკიდებული გარემოებების გამო“.

2. 489-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „გრამაფონის ფირფიტები და ნაწარმოებთა ტექნიკური ჩანაწერის სხვა სახეობანი“ შეიცვალოს სიტყვებით: „ნაწარმოებები, რომლებიც გამოსახულია მექანიკური ან სხვა ტექნიკური ჩანაწერის დახმარებით“.

3. 493-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეოთხე ნაწილი:

„საქართველოს სსრ ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქე-ავტო-

რის მიერ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი ნაწარმოების გამოყენების უფლების გადაცემის წესს ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა“.

4. 495-ე მუხლს დაემატოს სიტყვები:

„ეს დებულება არ ვრცელდება იმ იურიდიულ პირებზე, რომლებმაც საავტორო უფლება მოიპოვეს ხელშეკრულებით“.

5. მე-500 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ავტორის ნაწარმოების გამოყენება (მათ შორის თარგმნა) სხვა პირთა მიერ დასაშვებია მხოლოდ ავტორთან ან მის უფლებამონაცვლებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე; გარდა კანონში აღნიშნული შემთხვევებისა“.

6. 502-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს მეორე ნაწილი.

7. 503-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„ავტორის თანხმობა, რომელიც მიღებულია საავტორო ხელშეკრულების დადების დროს, არ შეიძლება გაუქმებულ იქნეს ცალმხრივად“.

8. 512-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვა: „მემკვიდრეებთან“ შეიცვალოს სიტყვებით „უფლებამონაცვლებთან“ და ამავე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ ავტორმა ან მისმა უფლებამონაცვლებმა საავტორო უფლებების დარღვევის შედეგად ზარალი განიცადეს (ამ კოდექსის 212-ე მუხ.), ავტორს ან მის უფლებამონაცვლებს უფლება აქვთ, ამ მუხლში აღნიშნულ მოთხოვნებისაგან დამოუკიდებლად, მოითხოვონ აგრეთვე ზარალის ანაზღაურება“.

9. 514-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს მეორე ნაწილი.

10. 518-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები. „საავტორო ხელშეკრულებები იდება ტიპიური ხელშეკრულებების შესაბამისად“.

11. 520-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულებით ავტორი მოვალეა შეასრულოს შეკვეთილი ნაწარმოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და ჩააბაროს იგი ორგანიზაციას ხელშეკრულებით დათქმული წესით და დადგენილ ვადაში“.

12. 522-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულებით ორგანიზაცია მოვალეა გამოიყენოს ან შეუდგეს მის გამოყენებას ხელშეკრულებით დათქმული წესით და დადგენილ ვადაში, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს ორ წელს ნაწარმოების მოწონების დღიდან. ეს მოვალეობა არ ვრცელდება იმ ორგანიზაციაზე, რომელმაც დადო სასცენარო ხელშეკრულება ან ხელშეკრულება სამხატვრო შეკვეთის შესახებ“.

13. 527-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ავტორი მოვალეა დააბრუნოს საავტორო გასამრჩელო, რომელიც მან მიიღო გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ ხელშეკრულებით, თუ ორგანიზაციამ მოშალა ხელშეკრულება იმის გამო, რომ ავტორმა: თავისი ბრალით არ ჩააბარა ნაწარმოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში; არ შეასრულა შეკვეთა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შე-

საბამისად ან შეასრულა არაკეთილსინდისიერად; უარი თქვა შესწორებების შეტანაზე, რომლებიც მას მოთხოვეს იმ წესით და იმ ფარგლებში, რაც დადგენილი იყო ხელშეკრულებით; დაარღვია მოვალეობა, პირადად შეესრულებინა სამუშაო ან დაარღვია ამ კოდექსის 521-ე მუხლით გათვალისწინებული წესები“.

11. ეს ბრძანებულება გამოიყენება იმ სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ, რომლებიც წარმოიშობიან 1973 წლის 1 ივნისის შემდეგ.

1973 წლის 1 ივნისამდე წარმოშობილ სახელშეკრულებო და სხვა სამართლებრივ ურთიერთობაში ეს ბრძანებულება გამოიყენება იმ უფლებებისა და მოვალეობების მიმართ, რომლებიც წარმოიშობა 1973 წლის 1 ივნისის შემდეგ.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 508-ე და 510-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები საავტორო უფლების მოქმედების ვადის შესახებ არ გამოიყენება იმ ნაწარმოებთა მიმართ, რომლებზედაც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გავიდა 1973 წლის 1 იანვრამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კახუაძე.

თბილისი, 1974 წლის 30 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

147 „მოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის ნორმების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების ბრძანებულების მე-2 მუხლის შეცვლის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„მოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის ნორმების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ის პირები, რომლებიც აღრიცხვის დროს გადამალავენ პირუტყვს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული კომისიის დადგენილებით დაჯარიმდებიან 30 მანეთამდე.

თუ მოქალაქე გაფრთხილების შემდეგ ერთი თვის განმავლობაში არ მოახდენს იმ პირუტყვის რეალიზაციას, რომელიც ჰყავს ნორმის ზევით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით მას ჩამოერთმევა ეს პირუტყვი და გადაუხდინა მოქმედი სახელმწიფო შესყიდვის ფასების 50 პროცენტს, ამ პირუტყვის რეალიზაციისათვის გაწეული ხარჯების გამოკვეთვით.

შრომისუნარიან მოქალაქეს, რომელიც არ ეწევა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიძლება ჩამოერთვას პირუტყვის პირად საკუთრებაში ყოლის უფლება, ხოლო თუ ასეთი პირი ერთი თვის განმავლობაში გაფრთხილების შემდეგ არ მოახდენს პირუტყვის რელიზაციას, მას ადმინისტრაციული წესით უნდა ჩამოერთვას იგი და გადაუხდიან მოქმედი სახელმწიფო შესყიდვის ფასების 50 პროცენტს, ამ პირუტყვის რელიზაციისათვის გაწეული ხარჯების გამოქვითვით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე,
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1974 წლის 30 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

148 ნათესავის, აგრეთვე ხილ-კენკროვანი ან სხვა ნარგავების განზრახ დაზიანებისათვის სისხლის სამართლის კასუსისმგებლობის გამკლიერების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 179. ნათესავისა და ნარგავების განზრახ დაზიანება

ნათესავის, აგრეთვე ხილ-კენკროვანი ან სხვა ნარგავების განზრახ დაზიანება, რამაც კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას ან სხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ მეურნეობას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ას მანეთამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე,
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1974 წლის 30 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

149 თევზისა და სხვა მოკოვებითი რაფვის უკანონო წარმოებისა- თვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იგივე ქმედობა, თუ იგი ჩადენილია განმეორებით ანდა თევზის ჭერის სარეწი იარაღის, ფეტქებადი ან მომწამვლელი ნივთიერების გამოყენებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე, მოპოვებულის და საჭერი იარაღის კონფისკაციით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძიწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კახიძე.

თბილისი, 1974 წლის 30 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

150 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლში დამატებების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 23-ე მუხლში დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 11 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლს მერვე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილები:

„იმ სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირისათვის სასჯელის დანიშვნისას, რომელსაც პირველად უსჯიან თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთიდან სამ წლამდე, ჩადენილი დანაშაულის ხასიათის, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავეს პიროვნების და საქმის სხვა გარემოებების, აგრეთვე დამნაშავეს საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე, მაგრამ მასზე ზედამხედველობის განხორციელებით გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის შესაძლებლობის გათვალისწინებით სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს მას პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, დანიშნული სასჯელის ვადით. განაჩენის აღსრულების გამგებელი ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილებში. განაჩენში მითითებული უნდა იქნეს ასეთი გადაწყვეტილების მოტივები.

მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისა და მოხდის წესსა და პირობებს ადგენს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1974 წლის 30 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

151 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის მესამე ნაწილში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ მოწმე არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, მომკვლევ პირს, გამოძიებელს, პროკურორს და სასამართლოს უფლება აქვთ იძულებით მოიყვანონ იგი და, ამავ დროს, იმის მიმართ ვინც თავი აარიდა გამოცხადებას, მიიღონ იგივე ზომები, რაც გათვალისწინებულია ამ მუხლის მეორე ნაწილით ან თუ გამოძახებული მოწმე არ გამოცხადდა სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე ისეთი მიზეზით, რომელსაც სასამართლო არასაპატიოდ ცნობს, მას საქმის განმხილველი სასამართლოს განჩინებით შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 30 მანეთამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1974 წლის 30 აგვისტო.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

152 მშრომელთა დეპუტატების აღვილობრივი სახორავის სესიებაზე შუკითხვის წესით დაყენებული საკითხების განხილვის პრაქტიკის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ნაწილი სათანადო ყურადღებას აქცევს სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის

შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონით მიხედვით ბუღალტრული უფლების განხორციელებას — სესიებზე შეკითხვის წესით დაყენებული საკითხების განხილვასა და მათ გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

ფოთის საქალაქო საბჭოს სესიაზე დებუტატების მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ იქნა საკითხი — თუ რა ღონისძიებანი ტარდება ყოფილი აგურის ქარხნის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის და ქალაქში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის. ახალციხის რაიონული საბჭოს სესიებზე დებუტატებმა შეკითხვის წესით დააყენეს საკითხი, რომელიც შეეხებოდა ქალაქის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფას, ხიდისა და სატელევიზიო სადგურის მშენებლობის დაწყების ვადას. ამბროლაურის რაიონული საბჭოს სესიაზე — ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას, ლანჩხუთის რაიონული საბჭოს სესიაზე — მიწათსარგებლობის კანონმდებლობის გატარებასა და სოფელ სუფსაში სავაჭრო ცენტრის და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მშენებლობას.

სესიებზე შეკითხვის წესით დებუტატების მიერ დაყენებული საკითხების განხილვა და მათი შესრულება შედარებით უკეთაა დაყენებული ტყიბულის საქალაქო და ლანჩხუთის რაიონულ საბჭოებში.

ამასთან ადგილობრივი საბჭოების სესიებზე შეკითხვის წესით საკითხების დაყენებასა და მათ განხილვაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელები გარკვეული არ არიან სესიებზე შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხების არსსა და განხილვის წესში, რის შედეგადაც ერთმანეთში ურევენ სესიაზე მოხსენებასთან დაკავშირებულ დებუტატების მიერ მიცემულ შეკითხვას შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხებს (ჩოხატაურის, ბოგდანოვის, ბოლნისის, გარდაბნის, კასპის, თეთრი წყაროს და ცაგერის რაიონების სასოფლო საბჭოები), რის შედეგად ნახევარი წლის სტატისტიკურ ანგარიშებში ნაჩვენებია 676 საკითხიდან შეკითხვის წესით დაყენებულია საკითხთა ძალიან მცირე რაოდენობა. არის შემთხვევები, როცა სესიებზე შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხებზე არ იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას (მახარაძის რაიონული, ამბროლაურის რაიონის წესის, კასპის რაიონის კოდის სასოფლო საბჭოები და სხვ.).

ჭიათურის საქალაქო, მარნეულის რაიონულ და ზოგიერთ სხვა საბჭოებს მიღებული აქვთ გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ევალებათ სესიაზე შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხებზე დებუტატს გასცენ პასუხი, მაგრამ ეს პასუხი ცნობილი არ არის დანარჩენი დებუტატებისათვის. რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების დებუტატების უმრავლესობა იშვიათად იყენებს სესიებზე შეკითხვის წესით საკითხების დაყენების უფლებას, როგორც აღმასკომის განყოფილებების, სამმართველოების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობისადმი კონტროლის მნიშვნელოვან საშუალებას (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი საბჭოები, თბილისის რაიონული საბჭოები, აბაშის, ადიგენის, ბორჯომის, გორის,

თელავის, წითელწყაროს, ცხაკაის, საჩხერის, ონის და სხვა რაიონების საბჭოები).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დავეალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) მტკიცედ დაიცვან სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის მე-14 მუხლის მოთხოვნა — სესიებზე დეპუტატების მიერ შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის განხილვის თაობაზე, როგორც სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მუშაობისადმი კონტროლის ერთ-ერთი ფორმა;

ბ) ფართოდ განუმარტონ დეპუტატებს შეკითხვის დაყენების წესი, — რომ მათ უფლება აქვთ სესიებზე შეკითხვის წესით მიმართონ და ახსნა-განმარტება მოსთხოვონ აღმასრულებელ კომიტეტს, მისი განყოფილებებისა და საზღვარგარეთელების ხელმძღვანელებს, აგრეთვე საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა, რომლებიც ვალდებული არიან პასუხი გასცენ სესიაზე, ხოლო თუ უფრო მეტი დროა საჭირო პასუხის მოსამზადებლად — იმ ვადაში, რომელსაც საბჭო დაადგენს;

გ) განემარტონ აღმასრულებელ კომიტეტებს, რომ სესიებზე შეკითხვის წესით დეპუტატები ან დეპუტატთა ჯგუფები აყენებენ იმ საკითხებს, რომლებიც დღის წესრიგში არ არის, მაგრამ შედის საბჭოს კომპეტენციაში. ამასთან დეპუტატის შეკითხვაზე გაცემული პასუხის მიხედვით საბჭო აუცილებლად იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;

დ) სისტემატურად შეამოწმონ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თუ როგორ სრულდება სესიებზე დეპუტატების მიერ შეკითხვის წესით დაყენებული საკითხები და მიიღონ ზომები მათ შესასრულებლად, ამასთან შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გაუკეთონ სესიას და დეპუტატებს;

ე) მეტი დახმარება გაუწიონ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოებს სესიებზე დეპუტატების მიერ შეკითხვის წესით დაყენებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის საქმეში.

2. დავეალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას პრაქტიკული დახმარება გაუწიოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს დეპუტატების მიერ სესიებზე შეკითხვის წესით დაყენებული საკითხების სწორად განხილვისა და გადაწყვეტის საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონჯინძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამპაძე.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

153 გორის რაიონის ხიდისთავის სასოფლო საბჭოდან სოფლების: ბნავისის, წედისის, ღვარების, ოღოზის და ზემო ქსოვრისის გამოყოფისა და ატენის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გამოეყოს გორის რაიონის ხიდისთავის სასოფლო საბჭოს სოფლები: ბნავისი, წედისი, ღვარები, ოღოზი და ზემო ქსოვრისი და მიეკუთვნოს ატენის სასოფლო საბჭოს.

შეუწარჩუნდეთ რწმუნებანი ატენის სასოფლო საბჭოში აღნიშნულ სოფლებიდან ხიდისთავის სასოფლო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწინძია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე.

თბილისი, 1974 წლის 30 აგვისტო.

ბანყოფილება მიორი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

154 საქართველოს ხელოვნების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური და მუსიკალური კულტურის განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭოს საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის:

კაპიტონ მელიქსედეძის ძე აბესაძეს — ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ნანი გიორგის ასულ ბრეგვაძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ორერას“ სოლისტს.

თინათინ ვასილის ასულ ბურბუთაშვილს — თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ვახტანგ ბესარიონის ძე გუნაშვილს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალეტის სოლისტს.

ლიანა ალექსანდრეს ასულ ისაკაძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

კარლო ილიას ძე საკანდელიძეს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს.

ელენე ვასილის ასულ ყიფშიძეს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის:

ნანა (ნათელა) ალექსანდრეს ასულ დემეტრაშვილს — მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს.

ანზორ კონსტანტინეს ძე ქუთათელაძეს — რეჟისორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის:

გვიგე ზაქარიას ძე ბერიკაშვილს — რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

თამაზ ალექსის ძე ბატიაშვილს — საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმეზიანი კვარტეტის მსახიობს.

თეიმურაზ შოთას ძე დავითაიას — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ორგრას“ სოლისტს.

კონსტანტინე პეტრეს ძე ვარდანაიანს (ვარდელს) — საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმეზიანი კვარტეტის მსახიობს.

ნატალია ალექსანდრეს ასულ თუმანიშვილს — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის უფროს მასწავლებელს.

ნოდარ არჩილის ძე ყვანაიას — საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმეზიანი კვარტეტის მსახიობს.

ერემია ვლადიმერის ძე სვანაძეს — ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ლელია ალექსანდრეს ასულ სინჯიაშვილს — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის უფროს მასწავლებელს.

ოთარ ნიკოლოზის ძე ჩუბინიშვილს — საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმეზიანი კვარტეტის მსახიობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონჯინძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

155 ამხ. ს. ლ. ბალაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი სპარტაკ ლევანის ძე ბალაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძმუნდიაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1974 წლის 7 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

156 ამხ. ნ. შ. მაისურაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, გენერალ-მაიორი ნოდარ შალვას ძე მაისურაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძმუნდიაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1974 წლის 7 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

157 ამხ. ფ. ა. ანანიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი ამხ. ფარნაოზ ანანიას ძე ანანიაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძმუნდიაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი. 1974 წლის 8 აგვისტო.



ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

158 ამხ. პ. ს. ვირსალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი კონსტანტინე სპირიდონის ძე ვირსალაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე.

თბილისი. 1974 წლის 8 აგვისტო.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

159 ამხ. ვ. ს. ონიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი ვასილ სარდიონის ძე ონიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე.

თბილისი. 1974 წლის 8 აგვისტო.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

160 მწერალ ვლადიმერ (ლადო) შალვას ძე ავალიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, მწერალი ვლადიმერ (ლადო) შალვას ძე

ავალიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა: საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწინიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1974 წლის 14 აგვისტო.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

161 კომეტ ს. ბ. ავჩიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, პოეტი სურენ გიორგის ძე ავჩიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწინიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1974 წლის 14 აგვისტო.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

162 მხატვარ ვ. კ. ბელეცკიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ვერა კონსტანტინეს ასული ბელეცკაია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწინიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1974 წლის 14 აგვისტო.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

163 ამხ. გ. დ. თავაშიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გიორგი დავითის ძე თავაშიაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე.

თბილისი, 1974 წლის 14 აგვისტო.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

164 ამხ. ტ. დ. კვაკვესკირის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სტატისტიკური ორგანოების სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს უფროსი ამხ. ტერენტი დომენტის ძე კვაკვესკირი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე.

თბილისი, 1974 წლის 14 აგვისტო.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

165 პროფესორ დ. ა. ფანჯულიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო უნივერ-

რსიტეტის პროფესორი დავით ალფეზის ძე ფანჩულიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი, 1974 წლის 14 აგვისტო.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

166 ამხ. ბ. ს. ხემიონოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა პრესის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით გაზეთ „სოვეტსკაია აზნაზის“ რედაქტორი ამხ. გიორგი ხემიონოვი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი, 1974 წლის 14 აგვისტო.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

167 ამხ. შ. ა. თითხარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობაში, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. შოთა ამბროსის ძე თითხარიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი, 1974 წლის 21 აგვისტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1974 წლის 30 აგვისტოს სხდომაზე განიხილა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერების საკითხი და აღნიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა და მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა სერიოზული ღონისძიებები გაატარეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის. არსებითად გაძლიერდა ყურადღება საბჭოების სესიებისა და აღმასკომების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებისადმი. ყოველივე ამის შედეგად, როგორც წესი, განხილული საკითხები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ისინი ყოველმხრივ ხელს უწყობენ საბჭოების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებას.

რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების სხდომებზე სისტემატურად იხილება დაქვემდებარებული საბჭოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, დადგენილებების და ბრძანებების კანონიერების საკითხი. ამ მიმართებით გააქტიურდა ზედამხედველობა პროკურატურის ორგანოების მხრიდან.

ადგილობრივი საბჭოების მუშაების სამართლებრივი ცოდნის ამაღლების მიზნით პერიოდულად ეწყობა თათბირ-სემინარები, მოხსენებები, ცალკეული კანონების განმარტებები.

მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ან აღმასკომების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ან მისი ცალკეული პუნქტები კანონსაწინააღმდეგოა; ადგილი აქვს საბჭოების ან აღმასკომების მიერ კანონით მინიჭებული უფლებების გადაჭარბებას და ისეთი საკითხების განხილვას, რომლებიც არაა მათი ქვემდებარე.

მშრომელთა დეპუტატების ღუშეთის რაიონული საბჭოს მე-14 მოწვევის მე-3 სესიამ დაამტკიცა შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო სარაიონთაშორისო რწმუნებული, რომელიც არ შედის მის ნომენკლატურაში.

მშრომელთა დეპუტატების ლენტეხის რაიონული საბჭოს მე-14 მოწვევის მე-2 სესიამ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო აგარაკ მუშების ტერიტორიაზე ინდივიდუალური ბინათმშენებლობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულებების დარღვევით მშრომელთა დეპუტატების ცაგერის რაიონულმა საბჭომ თავის სესიაზე შექმნა არასრულწლოვანთა საქმეების კომისია, თავმჯდომარის მოადგილის გარეშე, ხოლო მშრომელთა დეპუტატების საგარეჯოს რაიონული საბჭოს სესიამ იგივე კომისია აირჩია თავმჯდომარის მოადგილისა და პასუხისმგებელი მდივნის გარეშე.

მშრომელთა დეპუტატების ღუშეთის რაიონული საბჭოს სესიამ სამეთვალყურეო კომისია დაამტკიცა ნაცვლად 7-ისა 5 კაცის შემადგენლობით, ამასთან არ იქნა არჩეული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი.

უფრო მეტი შეცდომებია მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებში. აღმასკომები ხშირად ითვისებენ საბჭოებისა და სასამართლო ორგანოების ფუნქციებს.

ასე, მაგალითად, მშრომელთა დეპუტატების გურჯაანის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ორ მოქალაქეს აღუდგინეს მემკვიდრეობის მიღების ვადა, აღნიშნული საკითხის განხილვა კი სახალხო სასამართლოს ქვემდებარეა.

მშრომელთა დეპუტატების გარდახნის რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ იქნა აღმასკომის ერთ-ერთი განყოფილების გამგე, მაშინ, როდესაც საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების შესახებ კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, იგი უნდა დაემტკიცებია სესიას.

მშრომელთა დეპუტატების მარნეულის რაიონული საბჭოს აღმასკომმა გადაანაწილა საბიუჯეტო სახსრების ნაშთი — (436.1 ათასი მანეთი) სესიის გადაწყვეტილების გარეშე.

მშრომელთა დეპუტატების ყაზბეგის რაიონული საბჭოს აღმასკომმა, ნაცვლად სესიისა, თავისი გადაწყვეტილებით შექმნა არასრულწლოვანთა საქმეების კომისია.

გურჯაანის რაიონის ველისციხის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომმა თავის გადაწყვეტილებით აკრძალა ყოველგვარი ცნობების გაცემა იმ პირებზე, ვისაც მთლიანად არ ექნებათ გადახდილი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები არ ახორციელებენ სათანადო კონტროლს მათ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის კანონმდებლობის დაცვაზე, ზოგჯერ კი თვითონ არღვევენ კანონს: ათავისუფლებენ სამუშაოდან მუშაკებს, რომლებიც არ შედიან მათ ნომენკლატურაში, ანდა გამოაქვთ ისეთი სახის დისციპლინური სასჯელები, რომლებიც კანონსაწინააღმდეგაა.

მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ 1973-74 წლებში სამუშაოდან გაათავისუფლებულ 33 პირიდან აღდგენილ იქნა 18. ასეთივე მდგომარეობაა გურჯაანის რაიონშიც.

ანალოგიური შეცდომები აქვთ დაშვებული მესტიის, ცაგერის, ღუშეთის, აბაშის, გეგეჭკორისა და სხვა რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

წალკის რაიონის სოფ. ოლიანგის კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილებით, შესაბამისი საბჭოს თანხმობის გარეშე, სამუშაოდან გაათავისუფლეს სასოფლო საბჭოს დეპუტატები.

ზემოთ აღნიშნული დარღვევები განპირობებულია იმ გარემოებითაც, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ თავიანთი მუშაკების იურიდიული ცოდნის დონის ამაღლების საქმეს, სისტემა-

ტურად არ ატარებენ მათთვის სემინარებს, კონსულტაციებს, მოხსენებებს და სავაჭრომდებლო აქტების გასაცნობად და შესასწავლად, რომელთა ცოდნა აუცილებელია ადგილობრივი საბჭოების მუშაკთათვის; ამ საქმეში არასაკმარისია დახმარება იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურის ადგილობრივი ორგანოების მხრივ. აღმასკომებში აკლიათ საკანონმდებლო აქტები, წესრიგში არ არის მათი შენახვისა და კოდიფიკაციის საქმე და სხვ.

საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სისწორეზე სათანადო ზედამხედველობას არ ახორციელებენ ქალაქისა და რაიონის პროკურორები, რის შედეგადაც კანონსაწინააღმდეგო აქტები ხშირად რეაგირების გარეშე რჩება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასკომების საქმიანობაში სოციალისტური კანონიერების მტკიცე დაცვის, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების მიზნით დაავალა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

პროკურატურის ადგილობრივი ორგანოების დახმარებით უახლოეს დროში შეამოწმონ საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერება და სათანადო წესის დაცვით შეუსაბამონ ისინი კანონს;

მიიღონ ზომები ნორმატიული აქტების კოდიფიკაციისათვის. აღნიშნული საკითხის შემდგომი მოწესრიგების მიზნით გააპიროვნონ მასზე აღმასკომის ერთ-ერთი მუშაკი;

მოქმედი კანონმდებლობის უკეთ გაცნობისა და განმარტების მიზნით ადგილობრივი საბჭოების, წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთათვის სისტემატურად ჩაატარონ საინსტრუქტაჟო თათბირები, ლექცია-მოხსენებები და სემინარული მეცადინეობა. ამ საქმიანობაში ფართოდ ჩააბან პროკურატურის, სასამართლოსა და ადვოკატურის მუშაკები, გამოცდილი იურისტები;

არ დატოვონ რეაგირების გარეშე პროკურატურის ორგანოების მიერ შემოტანილი წარდგინებები კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების შესახებ და უზრუნველყონ მათი განხილვა კანონით დადგენილ ვადაში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, უმაღლეს სასამართლოს, და რესპუბლიკის პროკურატურას დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების და იურიდიულ განყოფილებებთან ერთად დასახონ და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებები ადგილობრივი საბჭოების მუშაკთა იურიდიული ცოდნის ამაღლების მიზნით.

საქართველოს სსრ პროკურატურას ეთხოვა გააძლიეროს ზედამხედველობა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე.

საქართველოს სსრ პროკურორის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების მოხსენებითი ბარათი აღნიშნულ საკითხზე დაეგზავნა მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს სათანადო რეაგირებისათვის.

